საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების პროგლემური საკითხები სისხლის სამართლის საქმის განხილვისას

– ნარკოდანაშაულებზე არსებული პრაქტიკის ანალიზი

საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების პრობლემური საკითხები სისხლის სამართლის საქმის განხილვისას

ნარკოდანაშაულებზე არსებული პრაქტიკის ანალიზი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC
თბილისი, 2020

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

დოკუმენტი მომზადებულია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის (EMC) ცენტრის მიერ.

ავტორი: ანი ნასრაშვილი

ანგარიშზე პასუხისმგებელი: გურამ იმნაძე

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.emc.org.ge info@emc.org.ge
https://www.facebook.com/EMCRIGHTS/

სარჩევი

I. შესავალი 2

II. კონსტიტუციური წარდგინების არსი 3

III. საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინება სისხლის სამართლის საქმის განხილვისას 6

1. სისხლის სამართლის საქმეზე წარდგინების საფუძველი 6
2. კონსტიტუციური წარდგინების გავლენა სისხლის სამართლის საქმეზე 7
   a) აღკვეთის ღონისძიების გადაწყვეტა საქმის განხილვის შეჩერების დროს 8
   b) მსჯავრდებულთა სასჯელის შემამსუბუქებელი ღონისძიებების გამოყენება 10

IV. დასკვნა 11

I. შესავალი

წლების განმავლობაში მოქმედი არაჰუმანური ნარკოპოლიტიკის სფეროში გარდამტეხი საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებმა განაპირობა.[1] 2015 წლიდან მოყოლებული დღემდე, ნარკოტიკულ დანაშაულებზე დაწესებულ სასჯელთა ჰუმანიზაციის მიმართულებით მიღწეული პროგრესი, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს განვითარებული პრაქტიკის, მარიხუანის/კანაფის თუ სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და ფლობის თაობაზე მანამდე არსებული საკანონმდებლო მიდგომების ძირეული შეცვლის შედეგია.

ნარკოდანაშაულთა დასჯადობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებმა საერთო სასამართლოებიც დააყენა ნორმათა კონსტიტუციურ უფლებებთან შესაბამისი განმარტებების წინაშე. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ბექა წიქარიშვილის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ, რომლითაც გაუქმდა თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის ფლობისთვის[2], გახშირდა საერთო სასამართლოების მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის შემთხვევები. ამის მიუხედავად, საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და კონკრეტულ საქმეზე გამოსაყენებელი ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის პრაქტიკა მწირია.[3]

სტატისტიკური მონაცემებით, საერთო სასამართლოების კონსტიტუციურ წარდგინებათა რიცხვი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ინდივიდუალურ კონსტიტუციურ სარჩელთა მაჩვენებლებს. ბოლო ათი წლის განმავლობაში, საკონსტიტუციო სასამართლოს 959 სარჩელი და 70-მდე კონსტიტუციური წარდგინება აქვს დარეგისტრირებული.[4] ამავე მონაცემების თანახმად, ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს საძიებო სისტემაში საერთო სასამართლოების 40-მდე წარდგინება იძებნება.[5] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამწუხაროდ, ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული წარდგინებების უმეტესობა არ მიემართება ფუნდამენტურად ახალ საკითხებზე ნორმათა კონსტიტუციურობის შეფასებას, არამედ, მათი უმრავლესობა, საკონსტიტუციო სასამართლოს

---

[1] *ერემაძე, ქეთი,* თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილების შედეგები, გვ. 501.

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის 1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე ბექა წიქარიშვილი პარლამენტის წინააღმდეგ.

[3] *ერქვანია, თინათინ,* კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, 2017, გვ. 47.

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, 2019, გვ. 104.

[5] იხ. https://bit.ly/30VEFgJ

უკვე არსებული გადაწყვეტილებების თანმდევია და ამ გადაწყვეტილებებში მოყვანილი მიდგომების ტექნიკურ დაზუსტებას ემსახურება.[6]

წინამდებარე სტატიის მიზანია, ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების მაგალითზე, სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულად თუ მსჯავრდებულად ცნობილ პირთა პერსპექტივიდან წარმოაჩინოს საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის გამოყენების ხელშემშლელი ფაქტორები და საკანონმდებლო ხარვეზები, რაც შესაძლოა, ხსნიდეს საერთო სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების დროს კონსტიტუციური წარდგინების უმნიშვნელო როლს და სამართლებრივი დიალოგის არარსებობას საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის.

II. კონსტიტუციური წარდგინების არსი

საქართველოს კონსტიტუცია საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური კონტროლის ფუნქციას ანიჭებს, საერთო სასამართლოები კი ქვეყანაში მართლმსაჯულების განხორციელებას ემსახურება.[7] კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლი, არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, ორი სახის სამართალწარმოებას შეიძლება დაეფუძნოს - ინდივიდუალურ კონსტიტუციურ სარჩელს და საერთო სასამართლოების წარდგინებას. ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს მოქალაქეების თუ სხვა პირების მიერ კონსტიტუციური სარჩელის წარდგენით დარღვეული უფლების დაცვის, აღდგენის ან უფლების სავარაუდო დარღვევის თავიდან აცილებას ემსახურება.[8] კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი კი - საერთო სასამართლოს მოსამართლეს საშუალებას აძლევს, არ გამოიყენოს სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტი სამართალშეფარდების პროცესში[9].

საერთო სასამართლო წარდგინებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის დადგენის მიზნით, რომელიც საერთო სასამართლომ კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს და რომელიც ნორმის შემფარდებელი მოსამართლის საფუძვლიანი ვარაუდით, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას.[10] ასეთ შემთხვევაში, საერთო სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის

---

[6] *ერემაძე, ქეთი,* თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილების შედეგები, გვ.502-503.

[7] საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლი.

[8] *ერემაძე, ქეთი,* ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ სახელმწიფოში, 2013, გვ.77; საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს კანონის 39-ე მუხლი.

[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წლის განმავლობაში კონსტიტუციური მართლმსაჯულების სფეროში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი გამოცემა №1, 2018, გვ 23.

[10] კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

განხილვა და მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტის შემდგომ განაახლოს საქმე.[11]

კონსტიტუციური წარდგინება, კონსტიტუციური სარჩელის მსგავსად, უნდა აკმაყოფილებდეს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ იგი ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.[12]

კონსტიტუციური წარდგინებისთვის კანონით დადგენილი წინაპირობებია: 1) საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საქმის განხილვის ეტაპზე მიმართვა; 2) კონსტიტუციური წარდგინების შეტანა საქმის განმხილველი მოსამართლის და 3) საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე საერთო სასამართლოში საქმის განხილვის შეჩერება.[13] არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, კონსტიტუციური წარდგინების სუბიექტია საქმის განმხილველი მოსამართლე ერთპიროვნულად, ისევე როგორც საქმის განმხილველ მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობა.[14]

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვა საერთო სასამართლოების სისტემის ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოს შეუძლია. არსებული პრაქტიკაც აჩვენებს, რომ ამ უფლებას საქმის განმხილველი მოსამართლეები სამივე ინსტანციის ფარგლებში იყენებენ. აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციულსამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებით, სისხლის სამართლის რეპრესიული ბუნების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკაში, საერთო სასამართლოებში ბრალდებულის/მსჯავრდებულის პერსპექტივიდან. ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, საქმის განმხილველი მოსამართლე ბრალდებულის თუ მსჯავრდებულის ძირითადი უფლებების დაცვის მიზნით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისი განმარტებისთვის მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, მეორე მხრივ კი, კონსტიტუციური წარდგინება მოსამართლეს ავალდებულებს, საერთო სასამართლოში საქმის განხილვა ხანგრძლივი ვადით შეაჩეროს და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ კონსტიტუციური უფლებების შემზღუდავ ღონისძიებებთან დაკავშირებით მიიღოს შუალედური გადაწყვეტილებები.

სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულად თუ მსჯავრდებულად ცნობილი პირის პერსპექტივიდან, საინტერესოა ასევე შეფასდეს კონსტიტუციურ სარჩელსა და კონსტიტუციურ წარდგინებას შორის საქმეზე სამართლებრივი ეფექტის კუთხით არსებული განსხვავება. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი, კონსტიტუციური წარდგინებისა და სარჩელის განხილვისთვის განსაზღვრავს იდენტურ 9-თვიან ვადას, დასაბუთების ერთიან სტანდარტს, თუმცა კონსტიტუციური სარჩელისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო

---

[11] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის მეორე ნაწილი.

[12] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი 31^1-ე, 31^3-ე მუხლები.

[13] *კახიანი, გიორგი,* საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, 2008, გვ. 139.

[14] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 42-ე მუხლის მეორე ნაწილი.

სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შემტანი საერთო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა.[15] კონსტიტუციური წარდგინებისადმი კანონმდებლის განსხვავებული მიდგომა, შეიძლება იმით აიხსნას, რომ სამართალშემფარდებელ საერთო სასამართლოს, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, რეალური შესაძლებლობა აქვს, დაინახოს, თუ რომელი საკანონმდებლო აქტი არ შეესაბამება კონსტიტუციას[16]. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, მნიშვნელოვანია პირის მსჯავრდება არ მოხდეს სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე, თუმცა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მსჯავრდებულების სხვა ინტერესების, მათ შორის ალტერნატიული სასჯელების თაობაზე შუამდგომლობების განხილვის შეჩერების გამო, რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, კონსტიტუციური წარდგინებით, შესაძლოა მათი ინტერესები უფრო მეტად დაზიანდეს, რაზეც ქვევით, დეტალურად იქნება საუბარი.

სისხლის სამართლის საქმის განხილვის ეტაპზე, დაცვის მხარის მიერ კონკრეტულ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის წარდგენა, კონსტიტუციური წარდგინებისგან განსხვავებით, არ იწვევს სისხლის სამართლის საქმის შეჩერებას. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, საერთო სასამართლო ვალდებული გახდეს, საქმის განხილვის კანონით დადგენილი ვადების დაცვის მიზნით, დაცვის მხარის კონსტიტუციურ სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დაასრულოს სისხლის სამართლის საქმის განხილვა და გამოიტანოს განაჩენი ისე, რომ ნორმის კონსტიტუციურობა კვლავაც არ იყოს შეფასებული. აღნიშნულის თავიდან აცილებისთვის საერთო სასამართლოს ერთადერთი ბერკეტი იმავე საკითხზე კონსტიტუციური წარდგინების მომზადებაა, რაც საქმის განხილვის ვადების შეჩერებას იწვევს. ამ მხრივ, საინტერესოა N1387 კონსტიტუციური წარდგინება, რომელშიც, დაცვის მხარის კონსტიტუციური სარჩელზე საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების არარსებობისა და სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო განხილვისთვის კანონით დადგენილი ვადის ამოწურვის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვა, ვინაიდან სადავო საკითხის გადაწყვეტის გარეშე საქმეზე სამართლიან გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა.[17]

სისხლის სამართლის საქმის განხილვაზე კონსტიტუციური წარდგინებისა და სარჩელის განსხვავებული სამართლებრივი ეფექტიც ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, საერთო სასამართლოებმა საქმეზე მხარეებისგან დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება კონსტიტუციური წარდგინების გამოყენებაზე. ამავდროულად, საერთო სასამართლოების მიერ ამ ინსტრუმენტის გამოყენებისთვის უნდა არსებობდეს ცხადი საკანონმდებლო დებულებები და საერთო სასამართლოებში მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებაზე ორიენტირებული კონსტიტუციური სამართალწარმოების ვადები, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკაში საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვიანობის ზრდას.

---

[15] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

[16] *ქსოვრელი, ირაკლი,* საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება - უფლების დაცვის ეფექტური საშუალება, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი გამოცემა №2, 2019, გვ. 50-52.

[17] იხ. https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1458.

III. საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინება სისხლის სამართლის საქმის განხილვისას

სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, კონსტიტუციური წარდგინების მექანიზმი, შესაძლო არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოყენების თავიდან აცილებას და შესაბამისად, საქმეში ბრალდებულის თუ მსჯავრდებულის კონსტიტუციური უფლებების დაცვას ემსახურება[18].

1. სისხლის სამართლის საქმეზე წარდგინების საფუძველი

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა საქმის განხილვის თუ სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების რამდენიმე საფუძველს ითვალისწინებს. საქმის შეჩერების საფუძველია იმუნიტეტის მქონე თანამდებობის პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემაზე უფლებამოსილი უწყების მხრიდან თანხმობის არარსებობა; დევნა უნდა შეჩერდეს ტრეფიკინგის მსხვერპლისთვის კანონით განსაზღვრული მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაშიც. გარდა ამისა, სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან საქმის განხილვის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღება, როდესაც კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე სასამართლო წარდგინებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს.[19]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დასახელებული რომელიმე გარემოების არსებობის დროს, გამოძიების ეტაპზე პროკურორი, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას - მხარის შუამდგომლობით სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის ანდა სასამართლო განხილვის შეჩერების შესახებ, ხოლო შეჩერების საფუძვლის ამოწურვის შემდგომ, კანონმდებელი მოითხოვს სისხლის სამართალწარმოების განახლებას.[20] დასახელებული დებულებებით გაუგებარია, კონსტიტუციური წარდგინების მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში, როდესაც მოსამართლეს ნორმის განმარტებისას საფუძვლიანი ეჭვი გაუჩნდება მთლიანად ან ნაწილობრივ მის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, რატომ სჭირდება მხარის შუამდგომლობა საქმის განხილვის შეჩერების თაობაზე. პრობლემურია ისიც, რომ სისხლის სამართლის პროცესში კონსტიტუციურ წარდგინებით საქმის შეჩერებასთან დაკავშირებით, ხსენებული (ზოგადი) დებულებების გარდა, არ გვხვდება დამატებითი რეგულაციები, რაც მოსამართლის მიერ წარდგინების შემთხვევაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის კონსტიტუციურ უფლებათა შემზღუდავ ღონისძიებებზე მსჯელობას და შესაბამისი საკითხების გადაწყვეტას შეეხებოდა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით, ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ პირდაპირ ადგენს, რომ საერთო სასამართლოში კონკრეტული

[18] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015, გვ. 338
[19] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.
[20] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლი.

საქმის განხილვისას სასამართლოს მიერ საკმარისი საფუძვლით დასკვნის გაკეთება, რომ საქმეში გამოსაყენებელი კანონი თუ ნორმატიული აქტი მთლიანად ან ნაწილობრივ კონსტიტუციასთან შეუსაბამოა, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.[21] ეს ჩანაწერი მიემართება ყველა კატეგორიის (სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ) ნორმას. იმის ფონზე, რომ სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობაც, ფაქტობრივად არ პასუხობს საქმის შეჩერების თანმდევ კითხვებს, შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციური წარდგინების გამოყენებისთვის სისხლის სამართლის საქმისთვის პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხების მოუწესრიგებლობა წარდგინების გამოყენებას აბრკოლებს.

კონსტიტუციური წარდგინების შედეგად საქმის განხილვის შეჩერება, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარდგინებაში მოყვანილ საკითხებზე მსჯელობისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადით ხდება, რაც, კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციის მომენტიდან სულ მცირე 9 თვეს, საქმის განხილვის დამატებით ორი თვით გაგრძელების შემთხვევაში 11 თვეს გულისხმობს.[22] გასათვალისწინებელია, რომ კანონმდებლობით დადგენილი აღნიშნული ვადა საქმის განხილვას და არა გადაწყვეტილების გამოცხადებას მიემართება, რასაც შესაძლოა, საქმის განხილვის დასრულებიდან წლები დასჭირდეს. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საქმის შეჩერების ვალდებულების გარდა, ფაქტობრივად არ შეიცავს სხვა დებულებებს, რაც საქმის სულ მცირე ერთწლიანი შეჩერების განმავლობაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის საჭიროებებს შეეხებოდა.

2. კონსტიტუციური წარდგინების გავლენა სისხლის სამართლის საქმეზე

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის თუ კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე სისხლის სამართლის კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა, ახლად გამოვლენილ გარემოებად მიიჩნევა, რაც განაჩენის გადასინჯვის ერთ-ერთი საფუძველია.[23] შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეში გამოსაყენებელი კანონის კონსტიტუციურობის შეფასებას პირდაპირი გავლენა აქვს ამავე საქმეში ბრალდებულად თუ მსჯავრდებულად ცნობილი პირის მიმართ საერთო სასამართლოების სისტემაში საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

იმის მიუხედავად, რომ კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილება ფაქტობრივად განსაზღვრავს ან/და ცვლის კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის შედეგს, არანაკლებ მნიშვნელოვანია, შეფასდეს

[21] „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის მეორე ნაწილი.
[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 22-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[23] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური წარდგინების გაგზავნიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საჭირო დროის პერიოდში სისხლის სამართლის საქმის შეჩერების განმავლობაში ბრალდებულის ანდა მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა.

საერთო სასამართლოების მიერ ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული კონსტიტუციური წარდგინებების პრაქტიკა მოწმობს, რომ კონსტიტუციურ სამართალწარმოებას რიგ შემთხვევებში, წელიწადზე მეტი დრო სჭირდება და საერთო სასამართლოებში საქმეც ამ ვადით შეჩერებულია.[24] ასეთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულად თუ მსჯავრდებულად ცნობილი პირის თავისუფლების შეზღუდვასა თუ აღკვეთასთან დაკავშირებული რიგი საკითხები, კონსტიტუციური წარდგინების ავტორი მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შეჩერების მიუხედავად, დამატებით გადაწყვეტას საჭიროებს, თუმცა ეს საკითხები სისხლის სამართლის მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის რეგულირების მიღმაა დარჩენილი.

საერთო სასამართლოს მოსამართლეები, კონსტიტუციური წარდგინების ხშირ გამოყენებისგან თავშეკავების მიზეზად, წარდგინების თანმდევ მნიშვნელოვან საკითხებზე საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობას ასახელებენ, რაც, მათივე განმარტებით, რიგ შემთხვევებში, საქმის შეჩერებით ბრალდებულის ინტერესების დაზიანებას იწვევს.[25] მოსამართლეთა ამ პოზიციას ერთგვარად ადასტურებს ნარკოტიკულ დანაშაულებზე არსებული კონსტიტუციური წარდგინებების ანალიზიც, რომელთაგან უმეტეს შემთხვევაში, წარდგინება გაგზავნილია ისეთ საქმეებზე, რომელზეც ბრალდებულები არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების ქვეშ, მსჯავრდებულები კი მეტწილად, არასაპატიმრო სასჯელების ქვეშ იმყოფებიან.[26]

a) აღკვეთის ღონისძიების გადაწყვეტა საქმის განხილვის შეჩერების დროს

კონსტიტუციური წარდგინება ისეთ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, სასამართლოს მხრიდან აუცილებელს ხდის მსჯელობას აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ანდა საერთოდ გაუქმების საკითხზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, პატიმრობისთვის დაწესებული 9-თვიანი ვადა, საქმის განხილვის შეჩერებასთან ერთად, ლოგიკურად უნდა ჩერდებოდეს.[27] სისხლის სამართლის საქმეზე გამოსაყენებელი კონკრეტული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის საკითხის გადაწყვეტამდე კი, პირის პატიმრობაში დატოვებას, საქმის შეჩერების პირობებში, სამართლებრივი საფუძველი ვერ ექნება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „აღკვეთის ღონისძიება, მათ შორის პატიმრობა შესაძლოა წარმოადგენდეს

[24] იხ. კონსტიტუციური წარდგინებები N1430, 785, 784, 805, 789, 773, 772, 774.

[25] ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), მოსამართლის როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, 2019, გვ.36.

[26] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებები N1430, 1387, 1341, 1239, 869, 866, 865, 855, 856, 830, 815, 816, 817, 818.

[27] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლი.

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თანმდევ მოვლენას, რომლის მიზანს მართლმსაჯულების შეუფერხებელი განხორციელება, საზოგადოების, მისი კონკრეტული წევრის უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს."[28] სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების/საქმის განხილვის შეჩერების შემთხვევაში კი, მოსამართლე ბრალდებულის პატიმრობიდან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტის, ასევე პატიმრობის საფუძვლების (მიმალვის საფრთხე, მტკიცებულებათა მოსპობის საფრთხე) არსებობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეშლასთან დაკავშირებული საფრთხის წინაშე დგება. პატიმრობის უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლის შემთხვევაშიც, ჩნდება კითხვა, რამდენად არის უფლებამოსილი მოსამართლე, სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, საქმის შეჩერების მიუხედავად, იხელმძღვანელოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ზოგადი ნორმით და მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულს შეუფარდოს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება.[29] სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამ საკითხს რეგულირების მიღმა ტოვებს.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმის შეჩერებასთან დაკავშირებით, საბოლოო გადაწყვეტილების დროში გახანგრძლივებიდან გამომდინარე, ბრალდებულის თუ მსჯავრდებულის ინტერესები მხედველობაში მიიღებოდა 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. იგი კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საქმის შეჩერების შემთხვევაში, ადგენდა მოსამართლის მხრიდან აღკვეთი ღონისძიებისა და სხვა, საპროცესო იძულების ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობას, თუკი საქმეში რამდენიმე ბრალდებული მონაწილეობდა, ხოლო შეჩერების საფუძველი ყველა მათგანზე არ ვრცელდებოდა.[30]

საინტერესოა ისიც, რომ კონსტიტუციური წარდგინების განხილვისთვის კანონით დადგენილი თავდაპირველი ვადა 30 დღეს შეადგენდა და მისი გაგრძელება, გამონაკლის შემთხვევებში, საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, დამატებით 30 დღით იყო შესაძლებელი.[31] წლების განმავლობაში, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვიანობისა და შესაბამისად, დატვირთულობის გაზრდასთან ერთად, კონსტიტუციური სარჩელისა და წარდგინების ვადა ჯერ 6 თვემდე[32], საბოლოოდ კი, 9 თვემდე გაგრძელდა. გარდა ამისა, თავდაპირველად, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინება რიგგარეშედ განიხილებოდა, სწორედ იმ მიზეზით, რომ წარდგინების გადაწყვეტა საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის ბედს განსაზღვრავდა.[33]

დროთა განმავლობაში კონსტიტუციური სამართალწარმოების ვადების ცვლილებებთან ერთად, საკანონმდებლო ცვლილებები უნდა შეხებოდა კონსტიტუციური წარდგინების გამო

---

[28] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის #3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.53.

[29] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლი.

[30] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1998 წლის რედაქცია, მუხლი 391.

[31] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 1997 წლის რედაქცია, მუხლი 22.

[32] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 2002 წლის რედაქცია.

[33] *ქალდანი, თამარ,* საერთო სასამართლოს წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოში - პრაქტიკა და საკანონმდებლო დილემა, სამართლებრივი ჟურნალი „სახელმწიფო სამართალი", 2001, გვ.136.

სისხლის სამართლის საქმის შეჩერების და მასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრას. აღნიშნულის საჭიროებაზე მიუთითებს მოქმედი კანონმდებლობაც, რომელიც კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინებით სასამართლოსთვის მიმართვის გარდა, ადგენს მათი უკან გამოხმობის წესსაც. თუ მოსარჩელეს შეუძლია, საკონსტიტუციო სასამართლოში უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე[34], რაც საქმის ავტომატურ შეწყვეტას გამოიწვევს, კონსტიტუციური წარდგინების შემტანი საერთო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა.[35] როგორც უკვე ითქვა, კანონმდებლის ამ მიდგომით იგი ერთგვარ დაშვებას აკეთებს, რომ სამართალშემფარდებელი მოსამართლის ეჭვი ნორმის არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით შესაძლოა დადასტურდეს და ეს აუცილებელს ხდის სადავო საკითხის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შეფასებას.

b) მსჯავრდებულთა სასჯელის შემამსუბუქებელი ღონისძიებების გამოყენება

კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საერთო სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმის განხილვის შეჩერება დამატებით პრობლემებს უქმნის მსჯავრდებულებს საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის არსებობისა და სასჯელის მოხდის ვადის დაწყების შემდგომაც. სისხლის სამართლის კოდექსი, თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის გარკვეული პერიოდის შემდგომ, ანიჭებს შესაძლებლობას, მოითხოვოს პირობით ვადამდე გათავისუფლება ანდა თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა. მოქმედი პრაქტიკა, საერთო სასამართლოების მიერ საქმის შეჩერების შემთხვევაში, არ უშვებს მსჯავრდებულის მხრიდან სასჯელის შემსუბუქების/შემცირების კანონით გათვალისწინებული ბერკეტების გამოყენების შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ კანონი მსგავსი სახის პირდაპირ აკრძალვას არ ითვალისწინებს.[36]

ამ მხრივ, განსახილველად საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს N1430 კონსტიტუციური წარდგინება. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით 6 წლით თავისუფლააღკვეთილი მსჯავრდებულის მიერ გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შემდგომ, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვა შეაჩერა და წარდგინებით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. წარდგინების საგანი უმცირესი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების ფლობისთვის დაწესებული სასჯელის - 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთის კონსტიტუციურობის შეფასება იყო. საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლომ ერთი წლის შემდგომ იმსჯელა, თუმცა ამ პერიოდში, მსჯავრდებულს წარმოეშვა პენიტენციური დაწესებულებისთვის სასჯელის შემსუბუქების შუამდგომლობით მიმართვის უფლება. კონსტიტუციურ წარდგინებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, იმ არგუმენტით, რომ საქმე შეჩერებული იყო, პენიტენციურმა დაწესებულებამ უარი თქვა მსჯავრდებულის განცხადების განხილვასა და თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორედ მსჯავრდებულის შუამდგომლობის საფუძველზე მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით, კონსტიტუციური სამართალწარმოების გაჭიანურებისა და პენიტენციურ

[34] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
[35] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-5 ნაწილი.
[36] ი.ჩ.-ს საქმე, დ.კ-ს საქმე.

დაწესებულებაში წარდგინებაზე გადაწყვეტილების ლოდინის პირობებში, ამავე მსჯავრდებულმა სააპელაციო სასამართლოსგან წარდგინების უკან გამოხმობა ითხოვა, რათა მას სასჯელის შემამსუბუქებელი ღონისძიებებით სარგებლობა შეძლებოდა. ეს შემთხვევა ნათლად წარმოაჩენს კონსტიტუციური წარდგინებისა და საერთო სასამართლოებში სისხლის მართლმსაჯულების განხორციელების პირდაპირ კავშირს, რაც შესაბამის საკანონმდებლო დებულებებშიც უნდა აისახოს.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში კონსტიტუციური წარდგინების ინტეგრაციის მეშვეობით ადამიანის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანესი მიზნის მიუხედავად[37], სისხლის სამართლის მატერიალური თუ პროცესუალური დებულებების ზოგადი ხასიათი და საქმის შეჩერებაზე დეტალური დებულებების არარსებობა, საერთო სასამართლოების პრაქტიკული საქმიანობისას წარდგინების ინსტიტუტის დაკნინებას განაპირობებს.

IV. დასკვნა

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებისას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, საერთო სასამართლომ პირის უფლებების დაცვის ყველა მექანიზმს მიმართოს. კანონის შესაბამისად სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის პროცესში ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დარღვევის საფრთხის არსებობისას, საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს ერთობლივად უნდა შეეძლოთ ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა. უფლებების დაცვის კუთხით, საკონსტიტუციო სასამართლოს უდიდესი როლის მიუხედავად, საერთო სასამართლოებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უპირველესად მიუწვდებათ ხელი სამართალშეფარდების პროცესში საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირების, ნორმის განმარტებისა და კონსტიტუციურ დებულებებთან შეუსაბამობების აღმოჩენაზე.

როგორც აღინიშნა, ასეთ შემთხვევაში, საერთო სასამართლოებისთვის მინიჭებული უფლებამოსილებაა კონსტიტუციური წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა, თუმცა სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობის მიერ კონსტიტუციური წარდგინების შემთხვევაში საქმის შეჩერებასთან დაკავშირებული და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხების ღიად დატოვება, რიგ შემთხვევებში, სისხლის სამართლის საქმის მონაწილეთა ინტერესების უფრო მეტად დაზიანების რისკებს აჩენს.

ამდენად, მნიშვნელოვანია, დაზუსტდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საქმის შეჩერების სამართლებრივი შედეგები,

[37] *ერქვანია, თინათინ,* კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, 2017, გვ. 47.

სისხლის სამართლის საქმის თანმდევი საკითხების გადაწყვეტის გზები, წარდგინების განხილვის შემჭიდროებული ვადები საკონსტიტუციო სასამართლოში. აღნიშნული ხელს შეუწყობს დღემდე საერთო სასამართლოების სისტემაში კონსტიტუციური წარდგინების უკიდურესად მწირი პრაქტიკის განვითარებას, ინტერაქციას საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის და რაც მთავარია, სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულთა თუ მსჯავრდებულთა უფლებების დაცვას.